# სამშობლო

შაბათი

7 ნოემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 217 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 217

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დიდის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



იორდანე ლევანის ძე, შვილი ამისი ივანე (ვანიჩკა) და ნინო იორდანეს ასული ცერცვაძეები. ბაბილინა გიორგის ასული ცერცვაძისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი შვილისას, მეორენი ძვირფასის დისა, ხოლო უკანასკნელი პატივცემული მულისას

მარიამ (მარუსია) იორდანეს ასულის

ცერცვაძისას,

დაკრძალვა მოხდება კვირას, 8 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, დ. ზესტაფონში წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე. 2—2—5060

დამარი გიორგის ასული გიგინეიშვილისა, მაქსიმე იესეს ძე ზენაიშვილი და შვილები: ალათი, ელისაბედი, გიორგი, ისიდორე, პლატონ და ლევანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას პირველნი საყვარელი შვილის შვილისას, ხოლო დანარჩენნი ძვირფასი დისწულისას

მარიამ (მარუსია) იორდანეს ასულის

ცერცვაძისას,

დაკრძალვა მოხდება კვირას, 8 ნოემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე. დ. ზესტაფონში წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის სასაფლაოზე.
2—2—5060

დავით გრიგოლის-ძე და მეუღლე მისი, ნინო გრიგოლის ასული; გრიგოლი და ივანე დავითის ძენი აბაშიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 ნოემბერს, დილის 11 საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის უძვირფასესის, პირველების შვილის, ხოლო უკანასკნელების ძმის ქართული გიმნაზიის ყოფილი მოწაფის

ალექსანდრეს (სანდრო)

სულის მოსახსენებლათ. 1—1—5072

ღრმად დამწუხრებულნი ჭირისუფალნი: მეუღლე სოფიო ლაზრევის ასული, შვილები: იოსებ და მიხეილ ივანეს ძენი ამირაღოვები მეუღლეებითურთ: მარიამითა და ოლღათი; ანეტა ივანეს ასული ამირაღოვი; მარიამ ნაზარიანცისა, შუშანა კამალოვისა და მიკირტიჩ კამალოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი საყვარელი ქმრისას, მეორენი, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ძვირფასი მამის, მესამე და მეოთხე საყვარელი მამამთილისა, ხოლო უკანასკნელი სიმამრისას

ივანე პეტრეს ძის ამირაღოვისას.

გამოსვენება მოხდება კვირას, 8 ნოემბერს, დილის 10 საათზე, სომეხთა წმ. გიორგის ეკლესიიდან საფიჩხიის სასაფლაოზე.
პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, ლევაშოვის ქუჩა, საკუთარი სახლი.
1—1—5057

კბილის ექიმი

მ. მგელაძე—გალიცკისა

ლებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი.
მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კვირას, 8 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ელექტრო-თეატრ „რადიუმში",

დანიშნულია

ქუთაისის მომხმარებელთა საზოგადოების „კოოპერაციის" წევრთა საზოგადო კრება.

კრებაზე დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც (უფ.)

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 5 ნოემბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.

გომონის ქრონიკა. მიმდინარე ამბები.

ჩაიკა.

4 ნაწილათ. მოზჟუხინის, ორლოვისა და რინდინის მონაწილეობით.

დაწუნებული საქმრო. კომიკური.

ანონსი: ორშაბათიდან, 9 ნოემბ. მზადდება საჩვენებლათ ანია. დრ. 4 ნაწ.

1915 წ.
ნოემბერი
7
შაბათი

იაფ-ფასიანი წარმოდგენა № 6

„ქართული დრამა". № 18

ქალაქის თეატრი.

დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე

ცნობილი ისტორიული პიესა

და-ძმა

5 მოქმ.

ვ. გუნიასი.

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

რეჟისორი შალვა დადიანი.

ადმინისტრაცია „ქართული დრამის" ამხ-სა. 1—1

ანონსი:

მზადდება

გორკის—„მტრები", ყიფიანის—„სამეგრელოს მთავარი ლევან", ჰანტურიშვილის—„ბურუსი".

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლოგერიძე.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე

უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძიასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)


## უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 5 ნოემბერი. დასავლეთის ფრონტი. მთელს ფრონტზე საერთოდ ცვლილება არ მომხდარა. მიტავის გზატკეცილის რაიონში ოლაის სამხრეთ დასავლეთით 4 ნოემბრის ღამეს გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ მოგერებულ იქნენ ჩვენის არტილერიისა და ტყვიის მტყორცნელთა ცეცხლით. სვენტენის ტბასთან მდებარე რაიონში დვინსკის დასავლეთით გერმანელებისაგან დატოვებულ თხრილებში დახოცილ ჯარის კაცთა დაუმარხავი გვამები ყრია. დრისვიატ—ბოგინსკოეს ტბების ფრონტზე მტრის არტილერიამ ბლაგბლაგ ცეცხლი გააძლიერა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე, კოველ—სარნის რკინის გზის რაიონში, 3 ნოემბერს მტერმა იერიში მოიტანა მედვეჟიედან პოდჩერკევიჩიზე, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა შეაჩერა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

—


(დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე)


## ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

### საიერიშოთ მომზადება.

თუ რა ძვირათ დაუჯდათ ავსტრო-გერმანელებს სერბიისა და მთაშავეთის წინააღმდეგ გალაშქრება, ნათლათ ამტკიცებს ის მსხვერპლი, რომელიც მათ გაიღეს. რომის გაზეთების ცნობით, ამ ჟამათ ჰერცოგოვინაში თავმოყრილია სამი კორპუსი ავსტრო—გერმანელებისა, მთაშავეთის საწინააღმდეგოთ. ხმებია—მთაშავეთის ფრონტზე ფელდმარშალ მაკენზენს ელიანო. ხშირი უშედეგო ბრძოლა მთაშავეთის ფრონტზე გერმანეთის გენერალურ შტაბში დიდ მღელვარებას იწვევს და მოითხოვს ავსტრო-გერმანელების მხრით გადამწყვეტ მოქმედებას, რომ უკანასკნელათ შემუსვრილ იქნას მთაშავეთიო. და რადგანაც მთაშავეთის ფრონტის დაკავებას გერმანიის შტაბი დიდ სტრატეგიულსა და პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს, მაკენზენი პირადათ მიდის, რომ ჯარს ხელმძღვანელობა გაუწიოს ავსტრო-გერმანელების მიერ შეტევის დროს.

### გერმანელი სამხედრო კორესპონდენტები და მთაშავეთი.

გერმანელ სამხედრო კორესპონდენტებს, რომელნიც სერბიის ფრონტზე იმყოფებიან, არა ერთხელ აუწერიათ ის სიმამაცე, რომელსაც სერბიელები იჩენდენ ბრძოლის დროს. კორესპონდენტებისაგან აწე-

რილია აგრეთვე ის დიდი მსხვერპლი, რომელიც საჭირო გახდა ბულგარეთ-გერმანეთის ჯარის შესაერთებლათ ამავე ფრონტზე. ამ ჟამათ სამხედრო კორესპონდენტები ხაზგასმით აღნიშვნენ უდიდესს ძლევა მოსილებას მთაშაველთის ჯარისას. მათი სიტყვით, მთაშაველები, მიუხედავათ არტილერიის ნაკლებობისა, მედგრათ და მხნეთ აჩერებენ ავსტრო—გერმანელების შეტევას, როცა უკანასკნელნი ცდილობენ მთაშაველთის ფრონტის გარღვევას ბილეკსა და არტოვაცს შუა.

„ბერლ. ტაგებლატის" კორესპონდენტი სწერს, რომ, მართალია, მთაშაველთის არტილერია ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილებას, მაგრამ სამაგიეროთ ძალიან მარჯვეთ და მოხერხებულათ აწარმოებენ პარტიზანულ ომს. წმინდა ინდოეთური სიმკვირცხლით აცოცდებიან ხოლმე მთების მიუალ ხრიოკებზე იმალებიან მთებში, ბუჩქებში და შემდეგ ნიშანის მიღებისათანავე ამავე სისწრაფით ხტებიან ერთი ხრიოკიდან მეორე ხრიოკზე, მარდათ ეშვებიან ჰავაში და თვალის დახამხამებაში მოექცევიან. ხოლმე ჩვენს ჯარსს ზურგიდან, მამაცურათ ეკვეთებიან და არც არავის ინდობენ.

მთაშაველის ტყვეთ ხელში ჩაგდება, განაგრძობს კორესპონდენტი, თითქმის შეუძლებელია. მთაშაველები აგრეთვე არ სტოვებენ ბრძოლის ველზე არც დაჭრილებს და არც მკვდრებს, რადგანაც ყველგან მათ თან დასდევენ ცოლები და შვილები, რომელნიც მარდათ კრეფენ ბრძოლის ველზე დახოცილებს.

გერმანული გაზეთების კორესპონდენტები აღნიშვნენ აგრეთვე, რომ მთაშაველებთა შორის ბევრი იბრძვის ჰერცოგოვინის გლეხებთაგანი და ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ავსტრო-უნგრეთის სამხედრო მთავრობა სასტიკ რეპრესიებს ხმარობს მათ წინააღმდეგ, რამაც ასე მრავლათ მოუყარა თავი ჰერცოგოვინის სოფლელებს მთაშაველების დროშის ქვეშ.

გერმანელები თავის მხრით გზავნიან მთაშაველთის ფრონტზე ჰერცოგოვინის მაჰმადიანებს, რომელნიც განრისხებული არიან თავის ქრისტიანულ სარწმუნოების აღმსარებელ თანამ-ოძმეებზე და რომელთაც კარგათ იციან ბრძოლის ველის ტოპოგრაფიული პირობები.

ჩვენი ჯარის კაცები დიდის ქებით იხსენიებენ მთაშაველთა სიმამაცეს, სწერს „ბერლინერ ტაგებლატის" კორესპონდენტი.

---

„ლოკალ ანცეიგერის" კორესპონდენტი პირდაპირ აღიარებს, რომ მთაშაველების თითოეული პოზიციის აღება ავსტრო-გერმანელებს აუარებელი მსხვერპლი უჯდებათ, მიუხედავათ ხანგრძლივათ წინასწარი მომზადებისა საიერიშოთ და არტილერიის შეფარდებისა ადგილობრივ პირობების მიხედვით.

### ბალკანეთი.

„ბირჟ. ვედ." ატყობინებენ: სალონიკიდან იუწყებიან, რომ შაბათს სასტიკი ბრძოლის შემდეგ სერბიელებმა უკუაგდეს ბულგარლები და ტემოვო დაიკავესო. სერბიელების ჯარს იერიში მიაქვს კოჩაკუსკიუბის რკინის გზის მიმართულებით. ცრნის მარცხენა ნაპირზე გაცხარებული ბრძოლა ფრანგებსა და ბულგარლებს შორის გძელდება. ბულგარლების მრავალი იერიში ამ ხაზზე ყოველთვის მოგერებულ იქნა.

---

„ვეჩ. ვრემია" სწერს, რომ დიპლომატები საუბრის დროს არ მალვენ საბერძნეთის ამღელვებელ მდგომარეობას. მოსალოდნელია ყოველგვარი სიურპრიზები.

---

„რუსკ. სლოვოს" ატყობინებენ. მეფე კონსტანტინემ მიიღო ავსტრო-გერმანელთა მისია, რომელმაც მოითხოვა სალონიკში დესანტის გადასხმის შეჩერება და დაუმატა, რომ გერმანია მზათაა ასესხოს 40 მილიონი ფრანკი რომელსაც ინგლის-საფრანგეთი პირდება საბერძნეთსაო. მეფემ დაამოწმა საბერძნეთის დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ და შენიშნა, რომ ნეიტრალიტეტი არ ირღვევა დესანტის გადასხმით, რადგანაც სალონიკი გახსნილი ნავსადგურიაო.

---

## სპარსეთის მდგომარეობა.

„რუსკია ვედომოსტი" სპარსეთის მდგომარეობის შესახებ სწერს:

ევროპის კრიზისის ხანაში სპარსეთის მდგომარეობას არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება სახელმწიფოებისა. უკანასკნელი წლის განმავლობაში სპარსეთი გაცხარებული ბრძოლის არენათ გადაიქცა ერთის მხრით ინგლის-რუსეთისა და მეორე მხრით გერმანეთ-ოსმალეთის დიპლომატიას შორის. ინგლის-რუსეთი ცდილობენ შეინარჩუნონ ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა მათსა და სპარსეთ შორის ომის დაწყებამდი, ხოლო მეორენი ცდილობენ სპარსეთი, თავის მოკავშირეთ გახადონ საერთაშორისო კონფლიქტში. ეს ბრძოლა ბრძოლის მსვლელობისა და საერთაშორისო დამოკიდებულების მიხედვით ხანგამოშვებით მწვავე ხასიათს ღებულობს. ამ მომენტებში გერმანეთ-ოსმალეთის აგიტაცია ძლიერდება. ხოლო შინაური აღელვება სპარსეთში უმდრეს წერტილს აღწევს, ეს გარემოება კი იწვევს ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოების მხრით მოქმედებისა და გავლენის გაძლიერებას. დღევანდლამდი ასეთი ზეგავლენა მხოლოდ დიპლომატიის წინადადების წაყენებით ხდებოდა, დღეს კი აშკარაა, მდგომარეობა რთულ სახეს ღებულობს, ვინაიდან თეირანისკენ უკვე გაიგზავნა სამხედრო რაზმი, რომელიც სპარსეთის სატახტო ქალაქიდან სულ რამდენიმე ვერსის მოშორებით არის.

თავის თავად ცხადია, რომ სპარსეთის გამოსვლას სერიოზული სტრატეგიული მნიშვნელობა არ ექნება, რადგანაც მას ისეთი ჯარი არ ყავს, რომ ინგლის-რუსეთის ჯარს წინააღმდეგობა გაუწიოს და ამით საკმარისი დახმარება მიანიჭოს გერმანეთ-ოსმალეთის სახელმწიფოებს. და თუ რისამე იმედი აქვთ გერმანეთის დიპლომატებს ამ შემთხვევაში,—ეს მხოლოდ სპარსეთის უბინადრო მოდგმის ამბოხება რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ, რომელიც თუმც არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც გამოიწვევს ძალების დაქსაქსვას. გერმანელების პოლიტიკის იდეა კი ის იყო და არის, რომ ეს ამბოხება გადავა ავღანისტანში და შეიძლება ინდოეთშიც. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის ინტერესი გერმანეთისთვის იმდენათ საყურადღებოა, რამდენათაც სპარსეთი საჭირო იქნებოდა მისთვის ზავის ჩამოგდების დროს თავისი დიდიხნის სურვილის განსახორციელებლათ.

---

## ქართული პრესა.

,,სახ. ფურ''—ის სამხედრო მიმომხილველი სწერს:

დღევანდელ ამ გვარ პირობებში უადგილოა როგორც გადაჭარბებული ოპტიმიზმი, აგრეთვე პესიმიზმიც. მართალია, მოკავშირ. პრესაში გახშირდა ლაპარაკი გერმანიის ჯარის დაქანცვა-დაუძლურების შესახებ—აღმოსავლეთის ასპარეზით მოქმედების შეწყვეტას ბევრი სწორედ ამ მიზეზით ხსნის, მაგრამ საზოგადოთ მსჯელობა მოპირდაპირის დაუძლურებაზე, როდესაც ამისთვის სწორი და უტყუარი საბუთები ხელთ არა გვაქვს, უსაფუძლო და უნდა მოგახსენოთ საშიშიც არის. სწორედ სტრატეგია გვას წავლის, რომ სჯობია მტრის ძალა და უნარი უფრო გააზვიადოთ, ვიდრე მისი ნაკლულევანობა გადააჭარბოთ. ხაადრევია მოპირდაპირის დაუძლურებაზე ლაპარაკი, როდესაც იგი ახალს და ფართო ოპერაციას იწყებს, როდესაც იგი შორს სამხრეთ აღმოსავლეთით, სპარსეთსა და ავღანისტანში ახალ ქსელს აბამს, როდესაც იგი დასავლეთის ასპარეზით საოცარ აქტივობას იჩენს. მისი წყალქვეშა ნავები უკვე ხმელთა შუა ზღვაში შეიჭრნენ და ჩვეულებრივი ნავარდობა დაიწყეს, რომელმაც უკვე ნაყოფი მოიტანა და მოკავშირეთა რამდენიმე გემი იმსხვერპლა.—ვიმეორებთ, შესაძლებელია აღმოსავლეთის ასპარეზით ამ ზამთრის განმავლობაში თვალსაჩინო არა მოხდეს რა, მაგრამ სამაგიეროდ სამხრეთის ასპარეზით ბალკანეთში და ახლო აზიაში, ისეთი ამბები დატრიალდეს, რომელნიც დიდს გავლენას მოახდენენ აღმოსავლეთის ასპარეზით მოქმედებაზე.

ბალკანეთში საქმეებმა უფრო გარკვეული სახე მიიღეს. ამ ჟამად სერბიის გადარჩენა ძნელიღა არის. მოკავშირეთა ყურადღებას ბოლო დროს უფრო ის შედეგი იქცევს, რომელიც გერმანიის და ოსმალეთის შეერთებას უსათუოდ მოჰყვება. კიტჩენერის აქეთკენ გამოგზავნება სწორედ გვიმტკიცებს, რომ ინგლისელებს სწორედ აღნიშნული შედეგი აინტერესებთ. გერმანიის და ოსმალეთის შეერთებასთან მჭიდროდ შეკავშირებულია ეგვიპტის, სპარსეთის, კავკასიის და ავღანისტანის საკითხები. ვერც რუსეთი და ვერც ინგლისი ამ საკითხებს გულგრილად ვერ მოეპყრობიან. სუეცის არხის საკითხი ინგლისისათვის სამკვდრო სასიცოცხლო საკითხია და სწორედ ამიტომ დაფაცურდა ინგლისი და კიტჩინერი გამოგზავნა განსაკუთრებული დავალებით. ჯერ მარტო ბალკანეთში გერმანიის გავლენის უსაზღვრო გაძლიერება, რასაც უსათუოდ რუმინიის და საბერძნეთის გამოსვლა მის სასარგებლოდ მოჰყვება, რუსეთს მეტად გაურთულებს საქმეს და დიდს გავლენას მოახდენს აღმოსავლეთის ასპარეზზე.

ერთი სიტყვით, საერთო მდგომარეობა მეტად რთული და გამოურკვეველია. პოლიტიკური და სტრატეგიული ატმოსფერა მეტად დამძიმდა და შავი ღრუბლები ცას მოედო. სად დაიჭექებს და სად ჩამოვარდება მეხი, ძნელი გამოსაცნობია".

---

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის მთავარ რწმუნებულიდან ადგილობრივი კომიტეტის თავჯდომარემ შემდეგი ცირკულიარი მიიღო:

„სრულიად რუსეთის მთავარ კომიტეტს ამ ბოლო ხანებში ხშირათ მოსდის ქალაქის თავების დამოუკიდებლათ მრავალი შუამდგომლობა სანიტარული და სხვა დახმარების შესახებ ქალაქებში. რადგანაც ასეთი შუამდგომლობანი მოდის კავშირთა ადგილობრივი კომიტეტების დაუკითხავად, რომლებიც ხშირათ არ არიან გაცნობილი საქმეებს, ამიტომ აღმასრულებელმა ბიურომ, ნორმალური მდგომარეობის დასამყარებლათ, 22 ოქტომბრის კრებაზე დაადგინა: 1) საჭიროა, რომ ყოველივე შუამდგომლობა ქალაქის მხრით სანიტარული საშუალების გასაუმჯობესებლათ უნდა შემოდიოდეს ადგილობრივი კომიტეტებისაგან. 2) საჭიროა უმთავრესმა კომიტეტმა ყოველივე სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ დახმარება გაგზავნოს ადგილობრივ კომიტეტების თავჯდომარის საშუალებითო''. ასეთივე ცირკულიარი მოუვიდა ქუთაისის ქალაქის თავსაც.

✦ ქალაქის გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორს გაუგზავნა 3 ნოემბრის ქალაქის საბჭოს კრების ოქმი და სთხოვს იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ ქალაქის თვითმართველობას ნება დართონ ქალაქის საჭიროებისათვის კრვატაპში აგარაკზე მოსხრას საქმაო შეშა.

ამავე დღეს გამგეობამ გუბერნატორს გაუგზავნა სამეურნეო კომისიის სხდომის ანგარიშები.

✦ კვირას, 8 ნოემბერს, დილის ათ საათზე ელექტრო თეატრ „რადიუმში" დანიშნულია ქუთაისის მომხმარებელთა საზოგადოების კოოპერაციის საზოგადო წევრთა კრება. კრებაზე შეუძლიათ დასწრება გარეშე პირებსაც.

✦ 5 ნოემბერს $9\frac{1}{2}$ საათზე ქუთაისიდან საგანგებო სამხედრო სანიტარული მატარებლით წაიყვანეს, ქუთაისის ადგილობრივ ლაზარეთიდან 310 ავადმყოფი ჯარის კაცი.

✦ 6 ნოემბერს, ღამით, ბოროტგამზრახველებმა მოსარგისი გასაღებით გააღეს ალექსანდრეს ქუჩაზე ელუაშვილისა დ გაინის დუქანი წაიღეს ვერცხლეულობა 50 ღირებული.

✦ კარლოვის დაღმართზე, 6 ნოემბერს, ღამით მღვდ. ილარიონ ლოსაბერიძის სახლი გაქურდეს, წაიღეს საოჯახო ავეჯეულობა 40 მანათად ღირებული.

✦ დღეს თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში მოხდება თათბირი რომელზედაც უნდა აამორჩიონ ორი წარმომადგენელი თბილისში გასაგზავნათ, რომლებიც 10 ნოემბერს სხვა წარმომადგენლებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას სიძვირის საწინააღმდეგო თათბირზე.

✦ კავკასიის მეფის მოადგილემ გამოუგზავნა ქუთაისის გუბერნატორს მედლები, რომელიც უნდა დაურიგდეს ქუთაისის გუბერნიის სოფლის მამასახლისებს.

✦ ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ უკვე მიიღო ჩრდილოეთ კავკასიიდან 20 ვაგონი სიმინდი დასავლეთ საქართველოსათვის, სიმინდი გაიგზავნა სამტრედიასა, აბაშასა და სენაკში. ფუთი ერთ მან. მეტი არ დაჯდება.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ჟურნალ ,,განთიადის'' 17 № რი და ,,შინაური საქმეების'' 17 № რი.

---

## ხვალინდელი კრების გამო.

ხვალ, 8 ნოემბერს, ელექტრო-ტეატრ „რადიუმ-"ში დანიშნულია საზოგადო კრება ქუთაისის მომხმარებელთა საზოგადოების „კოოპერაციის" წევრებისა.

ეს საზოგადოება კარგა ხანია რაც დაარსდა და მხოლოდ ეხლა, როგორც გამოირკვა, 1 ნოემბრის გამგეობისა და საუბნო კომისიების შეერთებულ კრებაზე, მან გაბედა განეხორციელებია თავისი უახლოესი მიზანი—ფურნის გახსნა.

ზოგი პირები, რომელთაც სიტყვის მეტი არაფერი არ ეხარჯებათ, საყვედურსაც კი აცხადებენ—რატომ ასე აგვიანებს საზოგადოება ფურნის გახსნასო, მაგრამ დარწმუნებით, რომ ასეთი საყვედური საქმის უცოდინარობის შედეგია და არა სამართლიანი შენიშვნა. საკმარისია გავიხსენოთ თუ რა ბედი ეწვია ქუთაისში წინეთ არსებულ კოოპერატივებს და ჩვენი ქალაქის უკუღმართი პირობები რომ ჩვენთვის გასაგები გახდეს საზოგადოების გამგეობის ფრთხილი და დაკვირვებული მოქმედება. საზოგადოების გამგეობას კარგათ ქონია გათვალისწინებული ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ ყოველივე კოოპერატიულ დაწესებულების საფუძვლიანი არსებობა დამყარებულია შეგნებულ და შეკავშირებულ მომხმარებლებზე და არა შემთხვევითი „მუშტარზე" ამიტომაც არ აჩქარებულა იგი.

ვინც იცნობს ჩვენს ინდეფერენტულ საზოგადოებას, მისთვის ნათელია, თუ რა შრომაა საჭირო ამისთვის; მაგრამ გამგეობა არ შეშინებია შრომას და დღიდან საზოგადოების დაარსებისა ის ენერგიულათ შესდგომია თავისი მიზნის განხორციელებას და აი ეხლა, როგორც ზევით მოვიხსენეთ, საზოგადოება იწყებს პურის ცხობას. თუ როგორ საჭიროებას შეადგენს პური ან და რა ღირსების პურს ვხმარობთ დღეს ქუთაისის მცხოვრებლები ამაზე ლაპარაკიც მეტია. ჩვენ მოვუწოდებთ ქუთაისის მცხოვრებლებს დიდის ყურადღებით მოეპყრან მათთვის ფრიად სასარგებლო დაწესებულებას და ყოველივე ღონით გაამაგრონ ის. მაშ მივიდეთ კვირის საზოგადო კრებაზე, ჩავეწეროთ წევრებათ, შევკავშირდეთ მჭიდროთ და მათ უზრუნველვყოთ ჩვენი სიმპატიური დაწესებულება. **მომხმარებელი.**

---

### სათეატრო ქრონიკა.

ქალაქის თეატრში, დღეს, 7 ნოემბერს, „ქართული დრამის" მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება გ. გუნიას ცნობილი ისტორიული პიესა „და-ძმა" უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ. ქ. მ. მდივანი, ო. ლოლობერიძე; ბ. ბ. ბარველი, კორიშელი, მურუსიძე, ყალაბეგიშვილი. წარმოდგენა იაფ-ფასიანია.

---

„ქართული დრამის" მსახიობთა ამხანაგობას განზრახვა აქვს მოიწვიოს მხატვარი **სიდამონ—ერისთავი,** რომელმაც უნდა დახატოს რამდენიმე დეკორაცია მისი უგანათლებულესობის **თდ. გ. შერვაშიძის** ისტორიული პიესის „**გიორგის მესამე-სათვის**"

---

**შანშიაშვილის** ისტორიული პიესა „**უგვირგვინო მეფენი**" „**ქართული დრამის**" მსახიობთა ამხ—ბამ რეპერტუარში შეიტანა.

---

დღეს ს. თერჯოლაში (შორაპ. მაზრა). მოხდება ადგილობრივი სამკითხველოს კურთხევა. კურთხევის შემდეგ გაიმართება წარმოდგენა ლიტერატურული განყოფილებით. წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება'' ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ ქუთაისიდან გაწვეული მწერლები.

---

კვირას, 9 ნოემბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში დრამატიული დასი წარმოადგენს ცნობილ პიესას ,,შემკვიდრე პრინცი".

---

## სასამართლო.

### (ქამაროვის საქმე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მკითხველები კარგათ იცნობენ ქამაროვის პროცესს და ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია დაწვრილებითი ცნობები მივაწოდოთ ამ პროცესის შესახებ.

29 ოკტომბერს თფილისის სამოსამართლო პალატამ ჩეხოვსკის თავჯდომარეობით გაარჩია საქმე ს. ი. ქამაროვისა. ქამაროვს ბრალი ედებოდა ხითაროვისაგან მოპარულ 60000 მანეთის განგებ დამალვაში, რომელიც ოქროს ფულათ იგზავნებოდა ერევნიდან პეტროგრადს. ბრალს სდებდა ვასილიევი. ბრალდებულს იცავდენ ნაფიცი ვექილები: ვლად. ბობრიშჩევ—პუშკინი, ალექსანდრე საყვარელიძე და იოს. ჩარექოვი.

**ამ პროცესის დასაწყისი შემდეგია:**

12 აპრილს 1906 წლ. სახელმწიფო ბანკის ერევნის განყოფილებამ პეტროგრადს გააგზავნა 60000 მან. ოქროს ფული. ფული ჩააბარეს ერევნის ფოსტას. ერევნიდან ფული თბილისში გაგზავნეს, ხოლო აქედან კი გაიგზავნა პეტროგრადს. პეტროგრადის ფოსტაში 20 აპრილს გახსნეს ამანათი და ფულის მაგიერათ აღმოჩნდა სილით სავსე ტომრები. როცა ამანათზე დასმული ბეჭდები გაშინჯეს, აღმოჩნდა, რომ ბეჭდები ყალბი იყო.

2 აგვისტოს 1906 წ. ერევნის განყოფილებამ სახელმწიფო ბანკისამ პეტროგრადს გაგზავნა დასაწვავათ დანიშნული ქაღალდის ფულები და ფასიანი ქაღალდები სულ 148000 მან. ღირებულობისა. ეს ამანათი პეტროგრადის ფოსტამ 10 მარიამობისთვეს მიიღო და როცა გახსნა აღმოჩნდა შიგ გაზეთის ქაღალდები, ჰილოფი და ტყვია. გამოკვლევის შემდეგ ამ ამანათზეც ყალბი ბეჭდები იყო დასმული.

შეუდგნენ პირველი საქმის გამოძიებას, რომელიც მხოლოდ 1910 წელში დასრულდა. პასუხის გებაში მისცეს კონსტანტინე ხითაროვი და მახარაძე (ფოსტის მოსამსახურეები), რომელნიც ამანათს გამოყვენ ერევნიდან და ჩააბარეს თფილისის ფოსტას. სასამართლომ იგინი უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა, ხოლო საქმე მოსპობილ იქნა.

მეორე საქმეზე შესახებ ქაღალდის ფულისა,—გამოძიება სწარმოებდა. ამ საქმეშიც პასუხის გებაში მისცეს ხითაროვი, მახარაძე, მათი ფულების დამხურდავებელი და შემნახველი ბოიაჯიანი, ერისთავი და მგალობლიშვილი, რომელთა საქმეც 18 დეკემბერს 1910 წლ. გაარჩია ერევნის საოლქო სასამართლომ და დამნაშავეებთაგან პირველი ორი და უკანასკნელები გაამართლა.

საქმე გადავიდა თფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც ყველა მონაწილე დამნაშავეთ იცნო და სასჯელი მიუსაჯა. ეს იყო 6 ოკტომბერს 1911 წელში.

ხითაროვმა სასჯელის მოხდის დროს თბილისში ბრალმდებელს განუცხადა, რომ მისი დასწრებით ოქროს ფული 60000 მან. და ქაღალდის ფული, ფასიანი ქაღალდები 148000 მან. ღირებულობისა ძოიბარეს მახარაძემ, ერმალოზ ხავთასმა და სვიმონ ოთხმეზურმა, ფოსტალიონმა მახარაძემ, ნიკოლოზ კვანტალიანმა და ვილაცა ბერძენმა.

როცა ამის შესახებ მახარაძეს დაკითხეს, მან სთქვა: „ორივე ქურდობაში ერიენ ის (მახარაძე) და ხითაროვი, სხვა არავინ ყოფილაო. ამასთანავე მახარაძემ დაუმატა, რომ ქაღალდის ფულით მათ ვერ ისარგებლეს. მის ამოსაგებათ წასული იყვენ ბათომში, სადაც დამხმარე ბოიაჯიანთან ჩხუბი მოუვიდათ და ვერაფერს გახდენ. რაც შეეხება ოქროს ფულებს, ამაზე მახარაძემ სთქვა: ოქროს ფულიდან ხითაროვი ცოტას მახარჯებდა, სხვა კი მას არ დაანება და მიაბარა ქ. ქუთაისში ს. ქამაროვსაო. სასამართლოში საქმის გარჩევის დროს კი მახარაძემ განაცხადა, რომ ოქროს ფულიდან ხითაროვმა 14,500 მან. მომცა, ხოლო რამდენი მიაბარა ხითაროვმა ს. ქამაროვს ამის შესახებ არაფერი ვიციო.

ამ განცხადების შემდეგ, რომელიც მოხდა მარტში 1912 წლ. ქ. თბილისში გაჩხრიკეს ხითაროვის სახლი და ქუთაისში კი ქამაროვის სახლი და მაღაზია. გაჩხრეკას აღმოუჩენია (როგორც ეს ერევნის საოლქო სასამართლოს გაჩხრეკებაშია მოხსენებული), რომ ხითაროვს ქამაროვისა-

თვის მიუბარებია 15000 მ. ქამაროვს ეს ფული შეუტანია ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, როგორც ეს საქმიდან სჩანს და რაც სარგებელი შემოდიოდა მას სწორი ანგარიშით აბარებდა ხითაროვს. ფულების შემოსავალი სავაჭრო წიგნებში შეუტანია და მთელი ჯამი, რაც კი ხითაროვს მიუღია მისგან წიგნებშია გატარებული.

საოლქოსასამართლო და ბრალმდებელი პალატისა იმ აზრისა იყვნენ, რომ ქამაროვს, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ქურდობაში, უნდა სცოდნოდა, რომ მიბარებული ფული მოპარული იყო, ვინაიდან ხითაროვს ამდენი ფული არ ექნებოდა. ამ დებულებას, მათის აზრით ამტკიცებს ის წერილიც, საიდანაც სჩანს, რომ ერთჯერ თვითონ ხითაროვს გამოურთმევია ქამაროვისათვის სესხათ ხუთი თუმანი. ქამაროვს ის მოსაზრებაც ამტყუნებს, ბრალმდებლის აზრით, რომ ხითაროვი ფოშტის მოხელე იყო და როგორც ასეთი ამდენ ფულს თავს ვერ მოუყრიდა ერთად და ქამაროვს უნდა სცოდნოდა, რომ ეს ფული ხითაროვისაგან მოპარული იქნებოდა, და თავიდანვე არ გაацხადა, რომ მას ხითაროვისაგან 15000 მ. აქვს მიბარებულიო. გარდა ამისა, სავაჭრო წიგნებში რამდენიმე ფურცელი იყო ამოხეული იქ, სადაც ხითაროვის შესახებ იყო დაწერილი, წიგნები გადაყრილ-გადმოყრილი და ციფრები „ლიცევოი“ ანგარიშის ალფავიტში გადასწორებულიო.

პირველათ ილაპარაკა ვექ. ჩარექოვმა. ნაფიცი ვექილის ჩარექოვის სიტყვა.

ჩარექოვი უმთავრესად საქმის იურიდიულ მხარეს შეეხო. სთქვა წინასწარ გამოძიების დროს წამოყენებული ბრალდება და ის, რასაც მას დღეს და საოლქო სასამართლოში ბრალს სდებენ, საბრალმდებლო ოქმის მიხედვით, ერთი მეორეს არ ეთანხმება. მთელი გამოძიება სწარმოებდა იმის გარშემო, რომ შესდგა ბანდა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ქურდობა, უმთავრესად ფულის პარვა და ამით იფარავდა ბრალდებული ქამაროვით. საბრალმდებლო ოქმში კი ეს ბრალდება გაქრა და წამოაყენეს უფრო სუბუქიო, რომ ქამაროვი მხოლოდ ხითაროვს იცნობდა და მხოლოდ ერთი მისი ნამოქმედარი დაფარა. ხოლო სისხლის სამართლის პროცესი და ბრალდებულის ინტერესი მოითხოვს, რომ სასამართლოში წამოყენებული ბრალდება, არ სხვავდებოდეს იმ ბრალდებისაგან, რომელიც წინასწარ გამოძიებამ წარუდგინა ბრალდებულსო. შემდეგ დამცველი არკვევს იმას, თუ რამდენად კანონიერია სახელმწიფო ბანკის საჩივარი, რომელიც სამოც ათასი მანეთის მისჯას მოითხოვს. იგი ამბობს, რომ ამ ფულის ჩივილის უფლება სახელმწიფო ბანკს არა აქვს, რადგან მას არაფერი დაუკარგავს. ბანკმა ეს ფული ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას ჩააბარა და კვიტანციაც მიიღო, ასე რომ იზარალა აქ ბანკმა კი არა, არამედ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ, რომელსაც უფლება აქვს ზარალის აღდგენა მოითხოვოს, მაგრამ ჩვენ მის წარმომადგენელს აქ ვერ ვხედავთ. ქამაროვის დანაშაული გამორკვეულადაც რომ ჩავთვალოთ, იმ შემთხვევაშიც თქვენ უფლება გაქვთ გადაახდევინოთ მას 15,000 და არა 60,000 მანეთი რადგან ხითაროვისაგან მან მხოლოდ 15,000 მანეთი მიიღო, ხოლო დანარჩენ ბოროტმოქმედთ იგი არ იცნობდა და მათთან არავითარი კავშირი არ ჰქონიაო—დაასკვნა ჩარექოვმა.

მეორეთ ილაპარაკა ნაფიცმა ვექილმა ბობრიშჩევ პუშკინმა. ვექილი ყურადღებას აქცევს შემდეგს: წერილი, რომელიც შეეხება 50 მან. სესხებას, მოხდა 1905 წ. წერილში ხითაროვი სწერს ქამაროვს, რომ პირველმა მოუგო რკინის გზას ორ ინსტანციაში საქმე და მალე ფულს მიიღებს და გაუგზავნის. ხოლო ახლა კი დროებით სჭირდება ფული და სთხოვს ასესხოს. დამცველის აზრით, ფულის სესხება შეეხება უწინდელ დროს, თხოვნას ქონდა დროებითი ხასიათი. ამასთანავე შეიძლება შეძლებულიც იყოს კაცი, მაგრამ დროებით მასაც დასჭირდეს ხელის მონაცვლება საჭიროებისათვისო. დამცველის აზრით, რადგან ხითაროვმა უთხრა ქამაროვს, რომ მან თავის ხანგრძლივ სამსახურის დროს შეაგროვა 15000 მანეთი და ამის შესახებ თვით მისმა ცოლმაც არაფერი იცისო, ქამაროვი გამოძიებას ვერ შეუდგებოდა, თუ რა გზით და როდის შეაგროვა ხითაროვმა ეს ფული. ამისთვის ქამაროვს, როგორც დიდ ვაჭრობაში ჩაბმულ კაცს, არც დრო ჰქონდა და არც საჭიროება მოითხოვდაო. ქამაროვს შეეძლო ეფიქრა, რომ მის ძმას მღვდელს ალფონსაც შეეძლო ეჩუქებია ეს ფული ხითაროვისათვის, რომელთანაც კარგი მეგობრობა ჰქონდა და ვერ ამხელს, რადგანაც სურს ძმის ეს განკარგულება მისთვის დაემალათო. საქმიდანაც სჩანს, რომ ხითაროვის შვილისთვის, ნათლია ალფონსს სურვებია სახლების ყიდვა. ქამაროვს შეეძლო ეფიქრა, რომ ალფონსს არ უნდა გაეგებიოს დებს, რომ მათმა ძმამ ხითაროვს აჩუქა ფულები და მათ კი არ დაუტოვა, ან მონასტერს არ გადასცა, როგორც ეს ჩვეულებათ აქვთ.

დამტკიცებულია აგრეთვე, ამბობს ბობრიშჩევი, რომ ქამაროვმა ეს ფულები კი არ დაუმალა თავის მოსამსახურეებს, არამედ მათივე ხელით გაგზავნა ბანკში მიმდინარე ანგარიშში შესატანათ, რომ ქამაროვმა და მისმა მაღაზიის მართველმა ურჩიეს ხითაროვს ფული ბანკში „ვკლადათ“ შეეტანა, მაგრამ იგი წინააღმდეგი გახდა იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება ფული სახლების საყიდლათ დამჭირდეს და „ვკლადათ“ შეტანა არ ივარგებსო. დამტკიცებულია ისიც, რომ ქამაროვს მეტ სარგებელს აძლევდა ბანკი, რადგანაც მას სხვილი ფული ჰქონდა შეტანილი ბანკში და რასაც ის ღებულობდა სარგებელს იმას აძლევდა ხითაროვსაც და მასთან მარკის ხარჯებსაც ხითაროვს აწერდა.

სად გაგონილა, რომ მოპარული ფულები კაცმა სავაჭრო წიგნებში ჩასწეროს ანა და თავის მოსამსახურეებს აუხსნას, თუ ვინ მოიტანა ფული და მის მაგიერ რომ თვითონ ისარგებლოს სრულ ანგარიშს აძლევდეს შემოსულ სარგებლისას. დამცველის სიტყვით, ყალბი მოსაზრებაა იმის თქმა, რომ ქამაროვი არ მიიღებდა ფულს, თუ ხითაროვი არ ეტყოდა მას რომ ის მოპარულიაო. ვექილი კი ფიქრობს, რომ ყოველგვარი მოსაზრება წესიერი და ლოღიკური მიგვიყვანს იმ დასკვნამდი, რომ არაფერი საფუძველი არ ქონდა ხითაროვს გაემხილა ქურდობა ისიც იმ დროს, როდესაც ამის შესახებ გამოძიება სწარმოებდა და თავის უფროსთან და გამომძიებელთან ხმა მაღლა ყვიროდა, რომ ტყვილა იტანჯება, რომ ამისთანა საზიზღრობას ეჭვით მას აბრალებენო. ამასთანავე ქამაროვი მდიდარი კაცია და სიახლოვესაც არ გაიკარებდა ხითაროვს, რომ მას გაემხილა ნაქურდალი ფულები შემინახეო.

ვექილმა სხვა მოსაზრებაც მოიყვანა და გაბათილა ბრალმდებლის მოსაზრებანი. ბოლოს მოაგონა მსაჯულებს, რომ ქამაროვის შვილები კეთილ გზაზე ადგიან; ერთ სტუდენტია, ერთიც აფიცერია და ომობს. გამამტყუნებელი განაჩენი მათ სულიერ სიმშვიდეს დაარღვევს და მოითხოვა ბრალდებულის გამართლება.

(დასასრული ხვალ)

## ქალთა ქართული სასწავლებელი.

დაპყრობილი პატარა ერებისათვის გადაგვარებაზე უარესი არაფერი არ არის. სხვის უღელ ქვეშ ჰყოფნა და თავისუფლების დაკარგვა, რასაკვირველია, თავის თავად ძნელია, მაგრამ ეს გარემოება დაპყრობილი ერის სიკვდილს კიდევ არ ნიშნავს და გადაგვარება ენისა კი მისი სიკვდილის უეჭველი ნიშანია. ამისათვის დამპყრობელი დიდი ერები ყველგან მარად ჟამს იმის ცდაში არიან, რომ მათ მიერ დამორჩილებულ პატარა ერებს თავის წარსული ისტორიული ცხოვრება, ცხოვრება თავისუფალი და ნებიერი, დაავიწყებიონ, თავის ეროვნებაში გათქვიფონ და თვითონ შეისისლხორცონ. ამ მიზნის მისაღწევათ ისინი ორს უმთავრეს საშუალებას ხმარობენ. პირველი არის ენა და მეორე სარწმუნოება. დაპყრობილი ერებისათვის სარწმუნოების დაკარგვა დამპყრობელი ერის სარწმუნოებაზე გადასვლა—კიდევ ისე საშიშო არ არის გადაგვარებისათვის, როგორც ენის დაკარგვა—ენით შეერთება—. ამის მაგალითს ჩვენ ნათლად ვხედავთ ჩვენს მოძმე გამაჰმადიანებულ ქართველებში. გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომლებსაც დღემდი ენა შეუნარჩუნებიათ ქართველებისაგან ვერ გაარჩევთ და რომელთაც სარწმუნოებასთან ერთად ენაც დაუკარგავთ ქართველობის ნიშან წყალი აღარ აცხიათ. დასავლეთ ევროპის დაპყრობილმა პატარა ერებმა ადრევე შეიგნეს თავისი ენის განსაცდელში ჰყოფნა და ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლათ უებარი წამალის ძებნას შეუდგნენ. ასეთი წამალი მათ ეროვნული სკოლების გახსნა-გამრავლებაში პოვეს და არც მოსტყუვდნენ. სასიხარულოდ ჩვენდა, თუმცა გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც ქართველნა ერმაც იგრძნო თავისი თავის განსაცდელში ჰყოფნა და ენის დაკარგვა. დასავლეთ ევროპის დაჩაგრულ—დამონავებული ერების მზგავსად მანაც, განსაცდელის თავიდან ასაშორებლად, ეროვნული სკოლების დაარსება დაისახა. ახლად გახსნილი ქუთაისის ქალთა ქართული სასწავლებელი ერთ იმ სასწავლებელთაგანია, რომელიც ჩვენ გადაგვარებას ხელს შეუშლის და ეროვნულ იდეალებს განამტკიცებს მომავალ ქართველობაში. ვუსურვოთ ამ ნორჩ სასწავლებელს ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი მოღვაწეობა.

მ. ბუაჩიძე.

## თეატრი და ხელოვნება.

**სალომეს ოჯახი. პიესა სამ მოქმედებათ, ტრ. რამიშვილისა, პირველად წარმოდგენილი ქუთაისის თეატრში 5 ოქტომბერს.**

ხშირათ გაგვიგონია საყვედური: „ჩვენ თეატრს რეპერტუარი არ უვარგა, ძველ პიესებს სდგამენ და ხალხი როგორ დაესწრებაო.“

მოგეხსენებათ რომ ადამიანს, სხვათა შორის, ერთი ახირებული ჩვეულებაცა აქვს: თავის გასამართლებელ საბუთს ყოველთვის იპოვნის ხოლმე. ასე მოსდის ქუთაისის ქართველ საზოგადოებასაც. თავის გულგრილობასა და დაუდევრობას ქართულ თეატრისადმი, ბევრი ჩვენთაგანი ამართლებს, როცა გასამართლებელი აქ არა არის—რა! .. ჩვენ არვიცით, მაგალითად, რითი უნდა გაიმართლოს თავი ქუთაისის ქართველობამ, რომ გუშინდელ წარმოდგენას ასე ცოტა—პირდაპირ გულსაკლავად ცოტა—ხალხი დაესწრო.

მსახიობთა ამხანაგობამ ყოველივე ღონე იღონა ხალხის თეატრში მოსაზიდავათ.

თავის დროზე გამოაცხადა: ახალ პიესას ვსდგამო, გამოაცხადა ავტორის ვინაობა, დაამზადა წინასიტყვაობაც, აქა იქა ლაპარაკობდენ კიდეც პიესა საყურადღებოა იმით, რომ ორ „ცნობილ მიმართულების“ შერიგებას სცდილობსო და სხვადასხვა, მაგრამ წარმოდგენის დღეს თეატრი მაინც ცარიელი იყო.

ეტყობა ქუთაისს აცოცხლებს და ასულდგმულებს მოსწავლე ახალგაზდობა, თორემ მოზრდილნი და მოხუცნი არც ისე იტეხენ თავს ქართული წარმოდგენისათვის!...

წასრული ხუთშაბათი საქმის დღე იყო, მოწაფეები არ გამოეშვათ და უიმისოდაც ჰუჰყიანი თეატრი დაღვრემილი გამოიყურებოდა. მხოლოდ აქა იქ მოსჩანდა თითო ოროლა მუდმივი მოყვარულნი თეატრისა და ნახევარზე მეტი უფასო მაყურებელი იყო.

არ ვიცი, რას ფიქრობდა ბ-ნი შალვა დადიანი, როცა თითქმის ცარიელ დარბაზს უკითხავდა თავის კოხტა წინასიტყვაობას ახალგაზდა დრამატურგის შემოქმედების დასახასიათებლად, მაგრამ მე კი გული მტკიოდა ჩვენის საზოგადოების გულგრილობისა გამო.

— რა უნდა ჰქმნას ან ავტორმა, ან მსახიობმა, ან რეცენზენტმა, როდესაც საზოგადოება მათ ასე უყურადღებოთ სტოვებს მეთქი—გავიფიქრე და მომაგონდა ის ასი და ორასი თუ სამასი ქუთათური ინტელიგენტი, რომლებიც ასე კრიტიკაში უდგიან თითოეულ ჩვენგანს, მთელი დღე ვითომდა ხალხისა და ჩვენის ხელოვნების წარმატების შესახებ მსჯელობენ, მაგრამ საქმით კი—ქვასაც არ აბრუნებენ...

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პიესას, ვინაიდან სჩანს, რომ ჩვენი საყვედურებიდან არაფერი არა გამოვა...

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა შუა უდევს დიდი ზღვარი! ტყვილათ არ უთქვამთ ჩვენ ძველებს და სამწუხაროც მხოლოდ ის არის, რომ აქამდე ვერ გადავვილახავს სიტყვასა და საქმეს შორის მდებარე „დიდი ზღვარი“!... ვისურვოთ, რომ მომავალმა მაინც გაასწოროს დღევანდელი ქართველი დღის სიცხადის ეს თვალსაჩინო ნაკლი!...

ბ-ნ ტრიფონ რამიშვილის ნაწარმოები „სალომეს ოჯახი“—არც დრამაა, არც კომედია, მას არა აქვს არც კვანძი მოქმედებისა. და არც განვითარება ამ მოქმედებისა. იგი უბრალო პიესაა, საყურადღებო თემაზე დაწერილი და აი ამის შესახებ გვსურს მოველაპარაკოთ ჩვენ მკითხველებს, მაგრამ ვიდრე ჩვენ აზრს ვიტყოდეთ და რაიმე დასკვნას გამოვიტანდეთ, ყური დავუგდოთ „ქართულ დრამის“ რეჟისორს ბ-ნ შალვა დადიანს, რას ჰფიქრობს იგი ჩვენი დრამატურგის შესახებ. პირველი სიტყვა ყოველთვის იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც თეატრთან უფრო ახლოა, ვინც მთელის თავის არსებით ემსახურება ქართულ ხელოვნებას და სცდილობს დასთესოს მისდამი სიყვარული და პატივისცემა.

„ჩვენი დრამატურგის მკვეთრი სახე ჯერ კიდევ არ ჩამოსხმულა მაღალ შემოქმედების ცეცხლებრივ ბრძოლებიო—ამბობს ბ-ნი შალვა დადიანი და განაგრძობს:

ჯერ კიდევ თითქო დიდ შემოქმედს თავისი ძალუმი სახე არ შემოუბრუნებია ამ დარგისთვისაც, მაგრამ ჩვენი მწერლობის პანთეონში ზოგ დრამატურგთა სახე მკრთალის სახით მაინც აღნიშნულია.

ყველაზე უფრო მომთავრებული კი მათ შორის ის ავტორია, რომლის პიესის წარმოდგენა, დღეისთვის, სასიამოვნო მოვალეობით მიიჩნია ჩვენმა დასმა.

ტრ. რამიშვილი უკვე შეიძლება შეფასდეს. ჩვენ ვიცით, რაც აქვს მას სათქმელი. მაშინ, როდესაც სხვა ჩვენი თანამედროვე დრამების მწერალნი მერყეობენ, ხან რეალისტობენ, ხან სიმბოლისტებსაც წასწვდებიან, როდესაც ჯერ კიდევ ვერ მოუძებნია თავისი თავი, ტრ. რამიშვილი თავის შემოქმედებაში უკვე გარკვეულ გზას ადგია, იცის ამ გზას საითაც მიჰყავს და... არ ღალატობს თავის თავს.

მთავარი აზრი ყველა მისი ნაწარმოებისა არის ის, რომ ბედნიერი გახდეს ის ხალხი, სადაც თვითონ გაზრდილა და უცხოვრია, ე. ი. მისი სამშობლო მხარე—საქართველო—და ამათში კი განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მისი აზრით თვით დემოსი და არა რომელიმე განსაკუთრებული წოდება ანუ კლასი.

„მეზობლები“-დან დაწყებული (თუ არა ვსცდები, ეს მისი პირველი დრამაა) დღევანდელ „სალომეს ოჯახამდე“ მისი ფიქრი მხოლოდ ამ ერთი აზრით არის მოცული: ბედნიერება, ბედნიერება ხალხს, ქართველ დემოსს.

ამის განსამტკიცებლად სჭირდება მას სხვა და სხვა უარყოფითი ტიპები, თორემ რომ დავუკვირდებით, თვით ამ ტიპებსაც ჩვენი ავტორი მუდამ ლმობიერათ ეპყრობა.

ეს მისი ნიშანდობლივი თვისებაა!

და თუ ადამიანის გარეგნული სახე და ყოფა-ქცევა მისი შინაგანი სულიერ „მეს“ გამომთქმელია, მაშინ სწორედ ტრ. რამიშვილზე უნდა ითქვას, რომ მისი კეთილი და სათნო გარეგნობა და ყოფაქცევა სრულიად შეეფერება მის შემოქმედებას.

მან იცის, რომ ქვეყნად ბოროტება არსებობს, მაგრამ თვით ამ სიბოროტეშიაც ადამიანს ვერ იმეტებს მისი კეთილი გული. მისი გრძნობა მეტად ნაზია და ამიტომაც არის, რომ შავ ფერადებს მის პალიტრაზე მუდამ ღია ფერი შეურევს ხოლმე. ამისთვის ზოგჯერ მისგან გამოყვანილ უარყოფით ტიპისა არა გჯერა ხოლმე. იმიტომ, რომ ავტორის სიბრალულით აღვსილმა გულმა თვით შემოქმედებამდე მიუტევა მათ მძიმე შეცოდებანი და თუ ამ მიტევებას შენც არ შეეზიარე, შეიძლება ნაკლათაც ჩაუთვალო ესეთი ხერხი ავტორისა.

სამაგიეროთ, სადაც ფაქიზი გრძნობაა გამეფებული—დედისა და შვილის სიყვარული, დაძმისა, შეყვარებულთა დამოკიდებულება, როგორი იდილია მეფდება მისგან შექმნილ სურათებში. ისეთი უბრალო, მარტივი, მაგრამ გულს ჩამწვდომი და სათუთია მისი სიტყვები, მისი კალმის შოსმა.

„ჩინებულია!.. საუცხოვო!... დიდებული!“—ამ სიტყვებს ხომ თვით მასვე დავცინით, ჩვენს ავტორს, ზოგჯერ მისი მეგობრები. და აი ეს უბრალო სიტყვები თვით მის პიესებში შეაქვს, ზოგჯერ თითქო ჰარბადაც, მაგრამ ისე დროით და ისე მოხდენით, რომ თქვენც იხიბლებით.

თავით თვისით კი ტრ. რამიშვილი რეალისტი მწერალია და ეს რეალობა აქვს თავის სამშობლოს ნიადაგიდან. როდესაც მის პიესას ისმენთ თუ უყურეთ, გრძნობთ, რომ მშობლიურ ნიადაგზე დგეხართ, გრძნობთ მოქმედება თქვენს ქვეყანაში სწარმოებს, ხშირად [illegible] ნაცნობებ შორის, რომელთაც [illegible] მწერლის ხელში ზოგჯერ ტიპის [illegible] კი მიუღიათ, ამიტომვე ნდობით უყურებთ ავტორს, თითქო მერანისათვის სადავე მიგინებებია, იცი, რომ არსად არ გადაგჩეხავთ, სანდოა და სანახავებს კი შეიძლება ფართოს და გადაშლილს ვერა, მაგრამ ჩვენებურ დაბოლოებას, პაწია მდინარეებს უცხო, წვრილი ტყით შეფუთნულს უთუოდ მოგაჩვენებს.

თუ ნაქერალიდან გადმოხედვა დიად რამ სანახაობას გიშლის თვალ-წინ არც რომელიმე პატარა ბეგობიდან გადახედვაა მოსაწყინარი, მასაც თავისებური სილამაზე შესდგამს.

ამგვარი საამური ბეგობია ტრ. რამიშვილიც. თუმცა ერთი კია, სულ ერთი მხრისკენ იხედება და ეს ზოგმა შეიძლება ტენდენციათაც ჩამოართვას.

მას ფხიზლად გაუთვალისწინებია ჩვენი ჭირ-ვარამი: სოციალური უკულმართობა, რომლის სიმწვავეს უთუოთ ჩვენი ქვეყანაც მწვავედა გრძნობს და აი ამის გარეთად სხვა სანახავი აღარ აინტერესებს.

უსათუოდ თვით ეს საკითხი მძლეთამძლეა ჩვენს დროში და ღირს, რომ მას ერთი დრამატურგი გაუსპეციალდეს.

ამიტომაც მისმა „მეზობლებმა“ პირველად გვამცნეს სცენიდან რა შუღლიც იყო ორ წოდებას შორის. მისმა „ექიმმა აშორბაჯანმა“ ნათლად დაგვანახვა რა უსამართლობაც სუფევს მკურნალთა და მისთანათ შორის. ხოლო მისმა, ჩემის ფიქრით, ყველაზე უფრო შესამჩნევმა პიესამ „საბედისწერო დამბაჩამ“ თავისებურის, ნაზის ფერადებით, გულის ტკივილით, მაგრამ მაინც დაურიდებლად დაგვისურათა გადაშენების გზაზე დამდგარი მაღალი წოდება. „დედინაცვალიც“ გვახსენებს იმ ტიპებს, რომელიც მოძრაობის შემდეგ გამოატივტივა ცხოვრების ზედაპირზე რეაქციამ და ახლი „სალომეს ოჯახი“ კვლავ ჩვენ პარტიათა განხეთქილებას დასტრიალებს თავზე.

მაგრამ არც ერთ პიესაში ისე არ უჩენია თავი ტრ. რამიშვილის პირად ლმობიერებას, როგორც „სალომეს ოჯახში“.

ჯერ თვით სათაური: „სალომეს ოჯახი“.

სალომე ხომ თითქო ქალის სახელია, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ავტორს სხვა ჩამოკრულით აქვს ნახმარი.

სალომე! ე. ი., ლომისთვის რამ უნდა იყოს, ის არსება. ლომების ქვეყანაა საქართველო და დღეს რას წარმოადგენს. ეს სალომეს ოჯახი.

ხედავთ, როგორი ლმობიერებაა ჩარეული თვით სათაურში.

ეხლა შინაარსი მოკლეთ:

ავტორს უნდა დაგვანახვოს, რომ ჩვენს ცხოვრებაში რამდენიმე მძლავრი მიმართულება არსებობს და ეს მიმართულებანი თუ მიმდინარეობანი მხოლოდ ერთი მეორის ჩხიკინში, ერთი მეორის დაუსრულებელ კამათში არიან. ეს ასე არ უნდა იყოს. „ოღონდ სამშობლოს ნუ დაივიწყებთო!“ ამბობს ერთ ალაგას ავტორი. მისი აზრით უნდა სუფევდეს თანხმობა და ჰარმონია და შეერთებულის ძალით უთუოდ კეთილდღეობა მოეხიჭება მის საყვარელ ქართულ დემოსს.

ორი სხვადასხვა მიმართულების ადამიანი ჰყავს, სხვათა შორის, ამ პიესაში გამოყვანილი და მათ შესახებ ავტორი ამბობს: ორივენი ცალ-ცალკე არ წარმოადგენენ ერთ მთელს, არამედ ერთიმეორის დამატებანი არიანო.

ამითი, მიხვდებით, რაც უნდა ავტორს თქვას, ე. ი., შეთანხმდეს ყველა ჩვენი მიმართულებანი და სამშობლოს საკითხის გარშემო მაინც ნულარა აქვს საკამათო.

კეთილი და პატიოსანი! სიტყვა-კაზმულმა მწერლობამაც დიად უნდა გამოსთქვას თავისი სურვილები! დეე, თუ კი მართალია ის დებულება, რომ ხელოვნება ცხოვრებასა ჰქმნის, იყვეს ამისთანა ნახელოვნევი ჩვენშიაც, რომელმაც შემდეგ დაბადოს ჩვენ შორის შერიგება და თანხმობა ერთი მთავარ საკითხის გარშემო მაინც, მაგრამ...

ეს საბედისწერო მაგრამ.,—

ცხოვრება ჯერ-ჯერობით სულ სხვას გაიძახის...

ჩვენი ცხოვრების სინამდვილე.

და ის ცხოვრება კი, რომელსაც ეხლა გვაძაგებს ეს უცნაური ზარბაზანთა გრიალი, რომლის ყრუ ხმა ჩვენამდინაც აღწევს და რომლის სისასტიკეს ესე მწვავეთ გრძნობენ ჩვენი შვილები, ძმები და მამები, ვინ იცის რას მოგვიტანს...

თვით ეს ჩვენი შინაური კამათიც რა წვრილმანად ეჩვენება ადამიანის შორსმხედველობას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, თუ მახვილ-გონიერი მწერალი ამ ჟამად ესეთ შესარიგებელ ხმას გამოსცემს, ჩვენც მადლობის მეტი რა გვეთქმის.

ამიტომ დასაფასებელია ტრ. რამიშვილი, რომ ნაზ, ლმობიერ სურათთა გამო ჩვენებით სიკეთე უნდა ჩვენს შორის სთესოს.

სიკეთისა და სიყვარულის მადლს კი ვერასოდეს ვერ გააყრუებს ლითონისგან ჩამოსხმული ყუმბარები, ფოლადის ჩხარუნი. ეს მუდამ ღრმათ გვწამდეს ჩვენ ავტორთან ერთად და რაც უნდა იცვალოს სვე-ბედი ჩვენის ქვეყნისა ადამიანობას ნურასოდეს ნუ დავკარგავთ.

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

**რომი.** 5 ნოემბერი. მთავარი ბინის ცნობა. მთელს ფრონტზე არტილერია მძლავრათ მოქმედებდა. ამასთანავე მტრის ბატარეია ცდილობს გაანადგუროს არა მარტო ჩვენი სიმაგრეები, არამედ სისტემატიურათ ანადგურებს თვით ისეთ ადგილებსაც, სადაც არ მოიძებნება არც ერთი ჩვენი რაზმი. მაგალითად, 1 ნოემბერს მტერმა სხვილი ყალიბის ზარბაზნები დაუშინა სოფლებს: ლოკსა და მეცენს. კონჩაის ჭალაში მტრის არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ახლახან აყვავებულ სოფელ მოსსა და ლუჩინკოს. იზონცოს ჭალაში, სადაც მხოლოდ ნანგრევები ღა არის, ჩვენმა ქვეითა ჯარმა გორიცის დასავლეთით სიმაღლეებიდან იერიშით აიღო მტრის სიმაგრე, სადაც მხოლოდ ღა დახოცილთა გვამები ეყარა. აქ დაგვრჩა ბევრი სამხედრო დოვლა. 3 ნოემბერს ღამით და შემდეგ დილით კარსოსთან სანმიკელეს მთის რაიონში განაახლა შეტევა ახლახან ჩვენ მიერ დაკავებულ პოზიციების წინაალმდეგ, მაგრამ ყველგან მოგერებულ იქნა, დაგვიტოვა რა ტყვეთ 60 ჯარის კაცი ერთი აფიცრით და 2 ტყვიის მტყორცნელი. მტრის ჰაეროპლანებმა გუშინ ქალაქ ალას ყუმბარები ესროლეს. ზიანი არ მიუყენებია.

**პარიზი.** 4 ნოემბერი. დღის ოფიციალური ცნობა. ღამის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, გარდა უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლისა მდ. ენის ჭალაში, ფორტენუშის, შამპანისა და ვევრის მიდამოებში ფლირის ჩრდილოეთით.

**ცეტინიე.** 3 ნოემბერი. პრესბიურო იტყობინება: ყველა ფრონტზე მოვიგერეთ სასტიკი იერიშები მტრისა და დიდი ზარალიც მივაყენეთ მას. მთაშავეთის ბათალიონმა, სანჯაკის ჯარის შემადგენლობიდან, ტყვეთ ჩაიგდო ხელში ავსტრიელების ერთი რაზმი თავისი აფიცრებით.

**პარიზი.** 4 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ლოსთან მედგარი საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ჩვენ დავუმიზნეთ ყუმბარები ტყეს, რომელიც მდებარეობს მდ. ენის სამხრეთით და კიდევაც დავრწმუნდით ჩვენი ცეცხლის წარმატებაში. საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა აგრეთვე შამპანში; ნავარენის რაიონში რიგორასთან ჩვენ ავაფეთქეთ გერმანელების თხრილები ფრიად დიდ სივრცეზე.

**ბალკანეთის ფრონტი.** 2 ნოემბერს დილით ბულგარლებმა შესწყვიტეს იერიშების მოტანა ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ მდ. ცრნის მარცხენა ნაპირზე კრივოლაკის დასავლეთით და დაიხიეს არხანგელას სიმაღლეებისკენ სოფელ სისევოს ჩრდილოეთით, დასტოვეს რა ბრძოლის ველზე ბევრი დახოცილი. სამი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ ბულგარლებმა დაკარგეს 40000 კაცი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. რაბროვოს ჩრდილოეთით ზარბაზნები დავუშინეთ მტრის საბარგო ურმებს, რომელნიც სტრუმიცისკენ მიემართებოდენ.

**ჰავრი.** 4 ნოემბერი. ბელგიის ცნობა. მთელს ფრონტზე სრული სიწყნარეა.

**პარიზი.** 5 ნოემბერი. დღის ოფიციალ. ცნობა. არტუაში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო. ჟივანშის ტყეში მტრის თხრილებს ჩვენ დავუშინეთ სასანგრო ზარბაზნებიდან ყუმბარები მტრის ბანაკს. სომის ჭალაში მდ. ენის ჩრდილოეთით ნაპირზე საარტილერიო ცეცხლი დავუშინეთ მტრის თხრილებს. დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარათ გაიარა.

## წერილი ლონდონიდან

**ნავთის მოტორების აღწერილობა.**

ცილინდრი თუჯისა არის, ორ კანიანი, რომელთა შუა წყალია. ეს გარემოება ცილინდრს გაგანივრებისა და დავიწროების ნებას აძლევს.

ცილინდრის შიგნითა ნაწილი, კანი მაგარი თუჯის არის, განსაკუთრებულათ გმობურღული და საკმაოთ სქელი, ისე რომ დაძველების შემდეგ ხელ ახლა გამობურღვა შეიძლებოდეს ან არა და სრულიად გამოღება და მის ნაცვლად ახალის (დაკლებულ ფასათ) გამართვა.

მკლავი, რომელიც ღერძს ატრიალებს, სიმენს-მარტენის ფოლადისა არის, მთლიანი ნაჭერი. ეს ნაწილი ძლიერ მნიშვნელოვანია და მის მოსამზადებელ მასალაზე განსაკუთრებული ყურადღება არის მიქცეული. ამ მკლავზე დამაგრებულია ორი თუჯის სიმძიმე, რომლის წყალობით მანქანის მუშაობის დროს ზანზარი სრულიათ ქმოსპობილია. ირგვლივ შემორტყმულ აქვს თუნუქის ფარი.

დაზგა, რომელზედაც ცილინდრი და ღერძია დამაგრებული, საუკეთესო თუჯისგან არის ჩამოსხმული და ძლიერ გამძლეა. დაზგის ახლო დასდგამთ ნავთის ბაკს, რომელიც სიმძიმის გამო უმჯობესია ადგილობრივ შეიძინოთ. დაზგას გარშემო უვლის ღარი, რომელშიც ზედმეტი ნავთი ისხმება, რაიცა მოტორს სუფთად ინახავს.

შემაერთებელი ღერძი საუკეთესო ფოლადის არის.

პისტონი ჩამოსხმულია საუკეთესო ღირსების თუჯისაგან და შიგნით დამაგრებულია დიდი ფოლადის ნემსი.

ნაწგვერდული ღერძი გაფერილი ფოლადის არის და ბოლოებში საზეთავები აქვს მოწყობილი. შემაერთებელ ღერძთან გადახლართულია კბილებიანი ბორბლით, რომელიც მუშაობის დროს არ ხმარობს.

ყველა მოტორებს 3 ნახევარი ცხენის ძალის ზემოდ აქვთ ორი დიდ-ბორბალი, გარდა 66 და 67 ცხენის ძალის მოტორებისა, რომელთაც მარტო ერთი აქვთ. მცირე ზედმეტ ფასათ 3 და 3 ნახევარი ცხენის ძალის მოტორებსაც შეიძლება გაუკეთდეს მეორე დიდ-ბორბალი.

ღერძ საწოლი მაგარ ბრინჯაოსი არის, დიდი ზომისა, და მთელი თავისი სიმძიმით აწევა დაზგას.

გაზის გამნაწილებელი ბუფო არის სოკოს მსგავსი. გაზის გამომშვებ ბუფოს გარშემო არტყია წყლის ბუდე.

დაზეთვა. ცილინდრი და შემაერთებელი ღერძი იზეთება სპეციალურად მომაგრებული შუშიდან. დანარჩენი ნაწილები კი მოთხოვნილებისამებრ.

საორთქლე მიმაგრებულია ცილინდრის ბოლოზე, ადვილად მოსახსნელი და გასაწმენდელია. თან დაყოლილი აქვს ჰაერისა და ნავთის მილები. საორთქლე თავისუფალი არის ნახშირის და სხვა ნარჩენებიდან. რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგაც კი სუფთად არის, რაიცა მის მაჩვენებელია, რომ ნავთი სრულიათ იწვის. ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანია და ამ მოტორების საუკეთესო ღირსების მაჩვენებელი,

ჰაერის ხუფი. ცილინდრის ბოლოში არის ხუფი, რომელიც საჭირო ჰაერს უშვებს. ეს ხუფი იღება ნაგვერდული ღერძის მიერ ამოძრავებულ ბერკეტით. ეს მოწყობილება აქვს მხოლოდ 8 ცხენის ძალაზე მეტ მოტორებს.

რეგულიატორი მარტივი და გამძლეა. 24 ცხენის ძალამდე იგი თუჯის კოლოფშია მოქცეული. რეგულიატორი ძლიერ მგრძნობიარეა. სიჩქარის მოწესრიგება შეიძლება ჭახრაკის მოტრიალებით იმ დროსაც კი, როდესაც მოტორი მუშაობს.

მოძრაობის დასაწყები ლამპარი სულ მარტივი და ადვილი სახმარია.

მოკიდება. დასაწყისში ნავთი და ჰაერი ფეთქდება საორთქლეში მყოფ გახურებულ მილით. მანქანამ უკვე ცოტა ხანი რომ იტრიალოს, საორთქლეში განსაკუთრებულ მოწყობილებით, თავისით ეკიდება, ასე რომ ლამპარი აღარ არის საჭირო, რადგან მანქანა ამოძრავდება. ამნაირად მუდმივი ლამპარი, რომელსაც ყურის გდება უნდა, ზედ-მეტია და ნავთიც იზოგება.

წყლის და დამწვარ გაზის საყვანი მილები თან ახლავს ჩვენ მოტორებს.

წყლის რკინის ყუთი ჯობია, რომ ადგილობრივ შეიძინოთ, რადგან სიმძიმის გამო ძვირი დაჯდება გამოგზავნა, მაგრამ ვისაც სურს, შეუძლია ჩვენგანაც შეიძინოს.

მსურველთ შეგვიძლია მივაწოდოთ ტუმბო (წყლის საქაჩელი), რომელიც დიდ მოტორებისათვის წყლის ყუთის მაგიერობას გასწევს.

მოტორებს თან ახლავს 4 რკინის ჰაერაკი საძირკველზე დასამაგრებლათ:

თვით დამყები. დიდ-მოტორებს შეგვიძლია, ზედ-მეტ ფასად, გამოვაყოლოთ თვით დამყები. ესე იგი ფოლადის. ცილინდრი შეკუმშულ ჰერისათვის. ჰაერი ამ ცილინდრში არის შეკუმშული 6 ატმოსფერამდე. ამ ცილინდრიდან ჰაერს შეუშვებთ მოტორის ცილინდრში, რომელიც მოქმედებს ფისტონზე და ეს უკანასკნელი კი აამოძრავებს მანქანას. ჩვენ შეგვიძლია მსურველთ მივაწოდოთ მსუბუქ ნავთით მომუშავე თვით-დამწყები; იგი შედგება სპეციალურ ხუფოსაგან, რომლის საშუალებითაც ცილინდრში უნდა შეუშვათ ნავთი, რომელიც, მყისვე ორთქლად იქცევა და ჰაერთან ერეული საორთქლიდან აფეთქდება. ამ აფეთქების ძალა საკმარისათ ძლიერია, რომ მანქანა მოძრაობაში მოიყვანოს. შეკუმშული ჰაერი, რასაკვირველია, უფრო მძლავრი საშუალებაა.

თითოეულ მოტორსთან გამოვაყოლებთ: ერთ ცალ ფისტონის რკალს; ერთ რესორს ყოველ ზომისას; 12 ცალს ლამპარის საწმენდს; 3 ლამპარის თავს და საჭირო ხელსაწყოს.

თითოეული მოტორი შეღებილია ორი წყება მინაქარის საღებავით და მერმე გაპრიალებული.

ქარხნიდან გამოშვებამდე თითოეული მოტორი რამდენიმე ხნით გაისინჯება და მხოლოდ მაშინ იგზავნება, როდესაც სავსებით არის გამართული და კარგათ მუშაობს. მოტორები გაკეთებულია საუკეთესო მასალებიდან და გამოცდილი ოსტატებისაგან: ძლიერ გამძლე და გამოსადეგი არიან ელექტრონის განათების მისაღებად.

ელექტრონის ძალის ერთეულის ღირებულება: ფუთი ნავთი, რომ ღირდეს 1 მან. ელექტრონის ძალის ერთეული საათში ეღირება 2 კაპ. (ელექტრონის ძალის ერთეული უდრის სამ და ერთ მესამედის ($3^1/_3$) ცხენის ძალას). მაშასადამე ამ მოტორების საშუალებით ელექტრონის ძალის მიღება ძლიერ ხელსაყრელია,

ჩვენ შეგვიძლია მსურველთ მივაწოდოთ მოტორი და დინამო ერთ ღერძზე ან და ტყავის სალტებით სამოძრავებელი.

გასახურებელი მასალა: გასახურებლად შეგიძლიათ იხმაროთ ჩვეულებრივი გაწმენდილი ნავთი, სასურველია რომ მისი სპეციალური წონა იყოს 0,800 --880.

ნავთის მოხმარების რაოდენობა და ფასი: ყოველ ცხენის ძალას საათში უნდება ცხრა მეათედი გირვანქა ნავთი, იმ მანქანებისათვის რომელნიც 10 ცხენის ძალაზე ნაკლები არიან ამაზე უფრო დიდი მანქანები ყოველ ცხენის ძალაზე საათში ხარჯვენ სამი მეოთხ. გირვანქა ნავთს. ეს რიცხვები შეეხება იმ შემთხვევას, როცა მანქანა მთელ თავის ძალას იძლევა; როცა მათ სრულ თავის ძალით ამუშავებთ, ეს ხარჯი ცოტათი მაღლა იწევა,

წყლის შესხმა: ყველა მოტორებს მოწყობილება აქვს საორთქლეში წყლის შესასხმელათ. წყლის დანიშნულებაა, რომ ძალა მოუმატოს და ნაადრევი აფეთქება შეაჩეროს და ამავე დროს ნავთის ხარჯვაც შეამციროს. როგორც კი წყალი საორთქლეში ჩაესხმება, მაშინვე ორთქლად იქცევა. წყალი ძლიერ ცოტა არის საჭირო და მოტორის ძალის მიხედვით უნდა გაიზომოს. სანამ მომუშავე მოტორს გააჩერებდეთ, წყლის დენა უნდა შეაჩეროთ, თორემ ზედ-მეტი წყალი საორთქლეს გაავსებს. როდესაც მოტორს სრული ძალით არ ამუშავებთ, წყლის შესხმა საჭირო არ არის.

მოტორების მუშაობის სისტემა. ეს მოტორები მუშაობენ „ოტოს“ ციკლით, რომელიც ცნობილია საუკეთესოდ. ეს პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: პირველ პერიოდს ნავთის და ჰაერის განსაზღვრული რაოდენობა იგზავნება ცილინდრში საორთქლედან; ხდება ჰაერის და ნავთის ორთქლის ასაფეთქებელი ნარევი. ფისტონის შემდეგი მოძრაობის დროს ეს ნარევი შეკუმშული იქნება საორთქლეში; აქ ის აფეთქდება და ამ დროს იწყება მესამე პერიოდი: ფისტონი უკანვე ბრუნდება. უკანასკნელ პერიოდში გაზი გამოსაყვანი ხუფი ცილის ცილინდრის საორთქლო და მოსაკიდებელი მილი პირველად გახურებული უნდა იყოს მუქ-წითლათ პატარა საბერველ ლამპარით, რომელიც ჩვეულებრივ ნავთის სწვავს.

| | | |
|---|---|---|
| №№ 1, 3 და $3^1/_2$ ცხენის ძალის, | | |
| „ 2 $4^1/_2$—$5^1/_2$ | „ | „ |
| „ 3, $7^1/_2$—22 | „ | „ |

დ. ლამბაშიძე.

(შემდეგი იქნება). „საქ“.

## შემოწირულობა.

1915 წელს 6 ნოემბერს მივიღე დეკანოზ იოსებ ნიკოლოზის-ძის წერეთლისაგან აჰარლების სასარგებლოთ მის მიერ შეკრებილი სოფ. ითხვისში 26 მან., რისთვისაც ქართულ საქველ. საზოგ. ქუთ. განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას მოახსენებს შემომწირველთ.

ხაზინადარი **გრ. გველესიანი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზ. „სამშობლოში“ მოათავსოთ ანგარიში ამა მდგომარე წლის 8 სეკტემბერს სოფ. ლესაში (გურია) ადგილობრივ წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენისა.

ბილეთების გაყიდვით შემოვიდა 185 მან. და 23 კაპ.

გასავალი 81 მან. და 23 კაპ. ამ გვარათ წმინდა შემოსავალი დარჩა ზემოხსენებულ სამკითხველოს 104 მან.

გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის უღრმესი მადლობა გამოუცხადოს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის: დებს. ქ.ქ. ელისაბედ და მარიამ გიგინეიშვილებს, ჩიტო (თამარა) ჟორბენაძეს, სეფორე ანთაძეს, ბ. ტარასი აგიაშვილს, მასწავლებლებს: გრიგოლ ცენტერაძეს, ნიკო დონორჯგინიძეს, მიხ. კვაჭაძეს და ბენიაბე გოგიჩაიშვილს, ბ.ბ. ვარლამ კუნჭულიას და ა. ჟორბენაძეს.

2, წარმოდგენის მოწყობაზე დაუღალავი შრომისათვის: ბ.ბ. ხარლამპრე ჭუჩიას, კოდია სარჯველაძეს, ვარლამ კუნჭულიას და ერმილე სულაბერიძეს.

3, ბილეთების გაყიდვაზე დიდი დახმარების გაწევისათვის: ქ.ქ. დარია გოგიჩაიშვილს, ფაცია კალანდაძეს, ანნა ჟორდანიას ასულს, აგრაფინა ჩახვაძეს, ეფროსინე კომახიძეს და მაგდალინა გალოგრეს. ბ.ბ. ერასტონისი ჭუჩიას, კოწია მიქელაძეს, ნოე პატარაიას და კონდრატი გალოგრეს; აგრეთვე სტამბის პატრონებს: ბ.ბ. ივანე კილაძეს და ალექსანდრე კოხრეიძეს უსასყიდლოდ აფიშების დასტამბვისათვის და ყველა იმათ, ვინც რაიმე დახმარება გაუწია წარმოდგენის მოწყობას.

ამასთანავე მე უნდა აღვნიშნო, რომ დიდი მადლობის ღირსნი არიან წევრი ხსენებული სამკითხველოს გამგეობისა: ქ. რახილ დიმიტრის ასული მგელაძე და ბ. ბარნაბა შარაშიძე, რომელთა თაოსნობითა და დაუღალავი შრომით მოეწყო ეს წარმოდგენა და აგრეთვე წევრნი გამგეობისა ბ. დიმიტრი სარჯველაძე და ბ. უმაინ გალოგრე, ამ საქმეზე დიდი შრომის გაწევისათვის.

გამგეობის მდივანი **მარიამ სალუქვაძე.**

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kiegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное.
> suisse. Recommanbée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Génève.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

### მატარებლების მიმოსვლა.

**ქ. ქუთაისს მოდის.**

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 5 ს. 50 წ. |
| „ | — ღამის | —11 ს. 30 წ. |
| ბათომიდან | — დილის | —10 ს. 5 წ. |
| „ | — ღამის | — 2 ს. 23 წ. |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 30 წ. |
| ტყიბულიდან | — დილის | — 9 ს. 38 წ. |
| „ | — საღამოს | — 7 ს. 39 წ. |

**ქ. ქუთაისიდან გადის.**

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 7 ს. 55 წ. |
| „ | — ღამის | — 1 ს. 7 წ. |
| ბათომისაკენ | — საღამოს | —10 ს. — |
| „ | — დილის | — 4 ს. 27 წ. |
| ფოთისკენ | —ნაშუადღ. | — 4 ს. 14 წ. |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 40 წ. |
| „ | —ნაშუადღ. | — 4 ს. 20 წ. |

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმლების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.